ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3794044

ნომერი: AR1570483

თარიღი : 15.01.2018

გაცემის თარიღი : 26.01.2018

გაცნობის თარიღი : 26.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოლოუბანი , ნაკვეთი 20/040 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , უნივერმაღის მიმდებარედ , ნაკვ.20/039 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვასაძე პ/ნ 01008005344
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ №3785903 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ №3785903 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ:

-„ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სხვადასხვა შენობის განთავსების შემთხვევაში, ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნები ხორციელდება ამავე სამშენებლო მიწის ნაკვეთზე, წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრ(ებ)ის დადგენის საფუძველზე (ანუ ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ისე უნდა განთავსდეს ერთზე მეტი სხვადასხვა შენობა, როგორც ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად ერთმანეთის მომიჯნავე სხვადასხვა სამშენებლო მიწის ნაკვეთზეა ერთმანეთის მიმართ განთავსებული) შესაბამისად, არსებულსა და საპროექტო შნობას შორის უნდა დაგეტანათ წარმოსახვითი საზღვარი და საპროექტო შენობის განთავსებისას უნდა დაგეცვათ წარმოსახვითი მიჯნის ზონა.

ზემოაღნიშნულის და №3785903 22.01.2018წ. გადაწყვეტილების შესაბამისად AR1570483 განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.